



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/2

„ 27 „ იანვარი 2015 წ.

ბ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ საფოსტო და საკურიერო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე 2014 წლის 17 დეკემბერს გამოცხადებულ იქნა ელექტრონული ტენდერი (SPA140029933). ტენდერში მონაწილეობას ღებულობს ორი პრეტენდენტი - შპს „სკს“ და შპს „საქართველოს ფოსტა“. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს ფოსტა“ დისკვალიფიცირებულ იქნა ტენდერიდან, ვინაიდან მათი წარმოდგენილი წინადადებები არ შეესაბამებოდა სატენდერო კომისიის მიერ დასმულ საკითხს და ვერ პასუხობდა იმ მოთხოვნებს, რაც დაყენებულ იქნა კომისიის მიერ და გაწერილია სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებში. მიმდინარე ეტაპზე გამარჯვებული პრეტენდენტი (შპს „სკს“) გამოვლენილია. 2015 წლის 26 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან მიღებულ იქნა სატელეფონო შეტყობინება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში ზემოაღნიშნულ ტენდერთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის შესახებ, რაც იწვევს მიმდინარე ტენდერის პროცედურების შეჩერებას.

იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე ხელშეკრულებით საფოსტო და საკურიერო მომსახურების ვადა იწურება 2015 წლის 31 იანვარს, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის წინადადებით, აღნიშნული მომსახურების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით აუცილებელია სატენდერო პროცედურების დასრულებამდე ხელშეკრულება გაფორმებულ იქნეს შპს „სკს“-თან. შექმნილი მდგომარეობის დაუყოვნებლივ მოგვარებისა და ტენდერის დასრულებისათვის საჭირო ვადების გათვალისწინებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

ა) შექმნილი მდგომარეობა შეფასდეს როგორც გადაუდებელი აუცილებლობა;

ბ) თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, აუცილებლობით გამოწვეული პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო ვადების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული სახელმწიფო შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი